



ვარდისუბანში, თელავში შესასვლელი ობიექტის დასუფთავება და კეთილმოწყობა (თელავის მუნიციპალიტეტი)

ქვე-პროექტის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგი და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა

მსოფლიო ბანკის დაფინანსებული
რეგიონული განვითარების პროექტი

თბილისი, საქართველო

ოქტომბერი, 2014 წელი

გარემოსდაცვითი სკრინინგი

ქვე-პროექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთის რეგიონის თელავის მუნიციპალიტეტში. ობიექტი წარმოადგენს ვაზიანისა და თელავის დამაკავშირებელი გზის 2 კმ-იან მონაკვეთს (ვაზიანი-გომბორი-თელავის გზა). ეს მონაკვეთი მოიცავს ტერიტორიას 65კმ-67კმ შორის, რომელიც მოქცეულია მდინარე მაწანწარას მარცხენა ნაპირზე, სოფელ ვარდისუბანის ფარგლებში. ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება სოფელ ვარდისუბანს, აღმოსავლეთით - თელავს, სამხრეთით - მდინარე მაწანწარას. ტერიტორიის ქანობი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, დახრის კუთხე საშუალოდ შედგენს 4-6°.

აღნიშნულ ობიექტზე ხდებოდა რეგიონული განვითარების პროექტის ფარგლებში თელავში მიმდინარე ქვეპროექტების სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენების გატანა და განთავსება, რაც ხორციელდებოდა ქ. თელავის მუნიციპალიტეტის გამგეობის წერილობითი თანხმობის საფუძველზე. აღნიშნულ ტერიტორიაზე, გარდა თელავში მიმდინარე ქვეპროექტების სამშენებლო სამუშაოებისას წარმოქმნილი სამშენებლო ნარჩენებისა, განთავსებულია სხვადასხვა სახის სამშენებლო ნარჩენი, აზბესტის შემცველი ნარჩენების ჩათვლით.

მოცემული ქვე-პროექტი დააფინანსებს ტერიტორიის დასუფთავებას და კეთილმოწყობას, რაშიც შედის აზბესტშემცველი ნარჩენების გატანა და განთავსება თელავის ნაგავსაყრელზე შესაბამისი უსაფრთხოების წესების დაცვით; ნარჩენების ამჟამინდელი განთავსების ტერიტორიის კეთილმოწყობა და ბუნებრივ გარემოსთან ჰარმონიზაცია და მდ. მაწანწარას ნაპირგამაგრება. უფრო კონკრეტულად კი, სამუშაოები მოიცავს: ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების მოგროვებას, შეფუთვის და გატანას; ტერიტორიაზე არსებული ნაყოფიერი ფენის მოხსნას და დასაწყობებას შემდგომი გამოყენებისთვის; ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობას; გაბიონების მოწყობას მდინარის ნაპირის გასწვრივ; ტერიტორიის მომანდაკებას; ნაყოფიერი ფენის მოწყობას და ბიოლოგიურ რეკულტივაციას (ბალახოვანი საფარის მოწყობა, მცენარეების დარგვა). მდინარის ნაპირდაცვისათვის უზრუნველყოფილი იქნება 20მ სიგრძისა და 3 მ სიმაღლის გრავიტაციული დამცავი კედელი. კედლის ძირი დაცული იქნება ქვანაყარით. ძირითადი კონსტრუქცია – აგებული 1x1x2.5მ, 1x1x2.0მ და 1x1x1.5მ გაბიონებით.

ქვე-პროექტის ობიექტის გარემოსდაცვითი აუდიტი 2014 წელს შპს „გამა კონსალტინგ“-მა ჩაატარა მგფ-ს დაკვეთით. წინამდებარე გარემოსდაცვითი მიმოხილვა და გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა ეფუძნება ამ აუდიტის მეშვეობით გაკეთებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

(ა) ზემოქმედების იდენტიფიკაცია

<p>ახდებს თუ არა ქვე-პროექტი საგრძნობ ზემოქმედებას გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტი საგრძნობ დადებით ზემოქმედებას ახდენს გარემოზე.</p>
<p>რაში მდგომარეობს ქვე-პროექტის მნიშვნელოვანი სასარგებლო და არასასურველი ზემოქმედება გარემოზე?</p>	<p>ქვე-პროექტის სასარგებლო ზემოქმედებას წარმოადგენს: ობიექტის ნარჩენებისაგან გაწმენდა, მათი სათანადოდ განკარგვა და მდინარის ნაპირების გამაგრება, რაც შეწყვიტავს წყლისა და ნიადაგის დაბინძურებას, ადგილობრივი მოსახლეობისათვის შეამცირებს ჯანმრთელობის საფრთხის რისკებს, გააუმჯობესებს თელავში შესასვლელი ერთ-ერთი მთავარი სამანქანო გზის ესთეტურ იერსახეს და შედეგად გამოიღებს მდინარის ნაპირების ეროზიის შემცირებას და მისი წყლის ნაკლებ სიმღვრიეს.</p> <p>ამ ქვე-პროექტის პოტენციურ რისკებს წარმოადგენს: გაბიონების მოსაწყობად საჭირო ქვების მოპოვების წყაროების არასწორად შერჩევა და საცობები იმ შემთხვევაში, თუ ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის მონაკვეთი ქვე-პროექტის ობიექტთან დაბლოკილი იქნება ცუდად დაწყობილი სამშენებლო მასალით და/ან შეგროვებული ნარჩენებით.</p>
<p>ექნება თუ არა ქვე-პროექტს რაიმე სახის მნიშვნელოვანი ზეგავლენა ადგილობრივ თემებზე და სხვა ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირებზე?</p>	<p>ქვე-პროექტის განხორციელება არ მოითხოვს რაიმე სახის განსახლებას.</p> <p>მას ექნება დადებითი სოციალური ზემოქმედება, რაც მდგომარეობს ჯანმრთელობის საფრთხის რისკების შემცირებაში და სოფელ ვარდისუბნის მომიჯნავე ტერიტორიის ესთეტური იერსახის გაუმჯობესებაში.</p> <p>მშენებლობის შემდგომ პერიოდში ტერიტორია ვიზუალურად მიმზიდველი და სუფთა გახდება. აღმოიფხვრება ის უარყოფითი ვიზუალური ეფექტი, რასაც ამ გზით მოსარგებლე მგზავრებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზე ახდენს გზის გასწვრივ დაყრილი და გაფანტული ნაგავი.</p>

(ბ) შემამსუბუქებელი ზომები

<p>იყო თუ არა სხვა რომელიმე ალტერნატივა განხილული ქვე-პროექტის პროექტირებისას?</p>	<p>ქვე-პროექტის მიზანს წარმოადგენს შერჩეული დაბინძურებული ობიექტის დაწმენდა და კეთილმოწყობა, შესაბამისად სხვა ალტერნატივები გათვალისწინებული არ ყოფილა.</p> <p>რაც შეეხება ტექნიკურ ალტერნატივებს, გაბიონების ვარიანტს უპირატესობა მიენიჭა ბეტონის კედელთან ან ბლოკებთან შედარებით. ვიზუალურად, გაბიონები უკეთ ერწყმის გარემოს, ისინი აღწევს მაქსიმალურ სიმტკიცეს და სტაბილურობას, რადგანაც ის მიწა, რომელიც ქვებს შორის არსებულ ღრეჩოებს ავსებს აკუმულირდება და მასზე მცენარეულობა იწყებს აღმოცენებას. წყალუხვობის პერიოდში მდინარის ნაკადის მოცულობა იმ მასშტაბისაა, რასაც გაბიონები გაუმკლავდება. ამის გარდა, გაბიონები უფრო იაფია, ვიდრე ნაპირგამაგრების სხვა ვარიანტები.</p>
<p>რა ტიპის შემამსუბუქებელი ზომების არის შემოთავაზებული?</p>	<p>მოსალოდნელი ურაცოფითი ზემოქმედება მშენებლობის ეტაპზე შეიძლება ადვილად იქნას შემსუბუქებული მშენებლობისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მართვის მიღებულ პრაქტიკასთან შესატყვისობით.</p> <p>კონტრაქტორი პასუხისმგებელია: გამოიყენოს მხოლოდ ლიცენზირებული კარიერიდან მოპოვებული ინერტული მასალა (ქვა), მოახდინოს წყლის და ნიადაგის დაბინძურების პრევენცია (მაგ. საწვავის დაღვრა აღჭურვილობის გაუმართაობის გამო), სათანადოდ დაგეგმოს სამუშაოები/მასალის მოწოდება რათა თავიდან აიცილოს მოსახლეობის შეწუხება (ხმაური, გამონაბოლქვები, მტვერი), კარგი მოვლა-პატრონობა გაუწიოს სამშენებლო მანქანებს, მართოს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობა ობიექტის გარეთ, კონტროლი გაუწიოს მტვერს, და ა.შ..</p> <p>აზბესტმემცველი მასალა განკარგული უნდა იქნას გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმაში აღწერილი პროცედურების თანახმად და შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე. აზბესტის მასალის სათანადოდ განკარგვა მკაცრად გაკონტროლდება მგფ-ს მიერ.</p>

<p>მსგავსი პროექტებიდან მიღებული რა სახის გამოცდილების ასახვა მოხდა ქვე-პროექტის პროექტში?</p>	<p>მგფ-ს ფართო გამოცდილება აქვს სხვადასხვა დონორი ორგანიზაციების მიერ დაფინანსებული სამშენებლო და სარეაბილიტაციო ქვე-პროექტების განხორციელებაში. თემი ინფორმირებული იქნება დაგეგმილი საქმიანობისა და გრაფიკის შესახებ.</p>
<p>ქვე-პროექტის მომზადებისას იყვნენ თუ არა ჩართულნი დაინტერესებული თემები და იყო თუ არა მათი ინტერესები და ცოდნა სათანადოდ გათვალისწინებული?</p>	<p>ქვე-პროექტი შემუშავდა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან კონსულტაციების შედეგად, არსებულ სიტუაციაზე რეაგირების მიზნით. სამუშაოების დაწყებამდე საჯაროდ გამოქვეყნდა ქვეპროექტის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა, რომელიც განხილულ იქნა მოსახლეობასთან 2014 წლის 6 ოქტომბერს ჩატარებულ საკონსულტაციო შეხვედრაზე.</p>

(გ) კლასიფიკაცია

მსოფლიო ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტის (OP 4.01) თანახმად პროექტი კლასიფიცირებულია B კატეგორიად და საჭიროებს მცირემასშტაბიანი სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის გარემოსდაცვითი ღონისძიებების საკონტროლო სიის შევსებას.

ქვეპროექტების სოციალური და კულტურული რესურსების სკრინინგი

ინფორმაცია სოციალური უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
1	ინფორმაცია ქვეპროექტების ობიექტების მფლობელობის და კუთვნილების სტატუსის შესახებ არის ხელმისაწვდომი და სარწმუნო? (სკრინინგი ვერ დასრულდება ზემოხსენებულის მოპოვებამდე)	✓	
2	შეზღუდავს თუ არა პროექტი ხალხისათვის მათი ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობას, როგორცაა მიწა, საძოვრები, წყლის რესურსები, კომუნალური სამსახურები ან სხვა რესურსები, რომელზეც ისინი დამოკიდებულნი არიან?		✓
3	პროექტის შედეგად მოსალოდნელია თუ არა ინდივიდების ან ოჯახების განსახლება, ან არსებობს თუ არა მიწის შესყიდვის საჭიროება (სახელმწიფო ან კერძო, დროებით ან მუდმივად) მშენებლობისათვის?		✓
4	მოჰყვება თუ არა პროექტს შედეგად მოსავლის, ხეხილის და სამეურნეო ინფრასტრუქტურის (როგორცაა ბელლები, ეზოს ტუალეტები და სამზარეულოები) დროებითი ან მუდმივი დაკარგვა?		✓
<p>თუკი ზემოხსენებულ რომელიმე კითხვაზე (გარდა შეკითხვისა 1) პასუხი არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.12 იძულებითი განსახლება და შემამსუბუქებელი ზომები უნდა განხორციელდეს ამ OP/BP 4.12 და განსახლების პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად</p>			
ინფორმაცია კულტურული რესურსების უსაფრთხოების ზომების სკრინინგის შესახებ		დიახ	არა
5	საჭიროებს თუ არა პროექტი მიწის სამუშაოებს ისტორიული, არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების სიახლოვეს?		✓
<p>თუკი პასუხი კითხვაზე 5 არის “დიახ”, მაშინ გამოყენებული უნდა იქნას OP/BP 4.11P ფიზიკური კულტურული რესურსები და შემთხვევით მოპოვებული მასალების განკარგვა უნდა განხორციელდეს OP/BP-სა და გარემოსდაცვითი მართვის ჩარჩო დოკუმენტში წარმოდგენილი შესაბამისი პროცედურების შესაბამისად.</p>			

*საპროექტო ტერიტორია მთლიანად წარმოადგენს მუნიციპალურ საკუთრებას.

ნაწილი ა: ზოგადი ინფორმაცია პროექტისა და ობიექტის შესახებ

ინსტიტუციური & ადმინისტრაციული	
ქვეყანა	საქართველო
პროექტის დასახელება	კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი
ქვე-პროექტის დასახელება	ობიექტის დასუფთავება და კეთილმოწყობა ვარდისუბანში, თელავში შესასვლელი (თელავის მუნიციპალიტეტი)
ობიექტზე განსახორციელებელი საქმიანობის აღწერა	<p>სამუშაოს მიზანია სამშენებლო ნარჩენების განთავსების ტერიტორიის (ვაზიანი-გომბორი-თელავი საავტომობილო გზის კმ 65-კმ 67 მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორია) მოწესრიგება:</p> <ul style="list-style-type: none"> • აზბესტშემცველი ნარჩენების გატანა და განთავსება; • ნარჩენების ამჟამინდელი განთავსების ტერიტორიის კეთილმოწყობა; • მდ. მაწანწარას კალაპოტის გამაგრება გაბიონების საშუალებით. <p>უფრო კონკრეტულად კი, ქვე-პროექტი დააფინანსებს ქვემოთმოყვანილ სამუშაოებს:</p> <p><u>აზბესტის შემცველი ნარჩენების მართვა</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ტერიტორიაზე არსებული აზბესტის შემცველი მასალების შეგროვება და შეფუთვა • სახიფათო ნარჩენების გადაყრა თელავის მყარი სამეურნეო ნარჩენების ნაგავსაყრელზე. <p><u>ნაპირსამაგრი სამუშაოები</u></p> <ul style="list-style-type: none"> • ნაპირდამცავი კონსტრუქციების საფუძვლის მომზადება; • გაბიონების მონტაჟი; <p><u>ტერიტორიის კეთილმოწყობა</u></p> <ul style="list-style-type: none"> • არსებული არასახიფათო ნარჩენების მოშანდაკება და დატკეპნვა, ხელოვნური ბორცვების მოჭრა, ორმოების და ტრანშეების ამოვსება, და ობიექტის გამწვანება; • მოშანდაკებული ტერიტორიაზე ნაყოფიერი ნიადაგის ფენის მოწყობა (საპროექტო ნიშნულამდე); • ტერიტორიის გამწვანება (ბალახოვანი საფარის მოწყობა).

ინსტიტუციური სტრუქტურა (მსოფლიო ბანკი)	სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი: აჰმედ ეივეიდა, თანა-ხელმძღვანელი: ხიოლან ვანგი	გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი: დარეჯან კაპანაძე	
განხორციელების სტრუქტურა (სესხის ამღები)	განმახორციელებელი ორგანიზაცია: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	სამუშაოთა ზედამხედველი: JV Steget (Italy) & Estia (Italy)	სამუშაოთა კონტრაქტორი: შპს „სერპანტინი“
ტერიტორიის აღწერა			
იმ დაწესებულების დასახელება, რომლის ქონებაც უნდა იქნას რეაბილიტირებული	თელავის მუნიციპალიტეტი		
იმ დაწესებულების მისამართი და ობიექტის მდებარეობა რომლის ქონებაც უნდა იქნას რეაბილიტირებული	ქვე-პროექტის ობიექტი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, თელავის მუნიციპალიტეტში, ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის (S-38) 65 – 67-კმ მონაკვეთი		
ვინ არის მიწის მფლობელი? ვინ სარგებლობს მიწით (ფორმალურად/არაფორმალურად)?	მუნიციპალური საკუთრება		
ობიექტის ფიზიკური და ბუნებრივი გარემოს აღწერა	<p>ქვე-პროექტი მდებარეობს ვაზიანი-გომბორი-თელავის გზის მონაკვეთის გასწვრივ, რომელიც მოქცეულია მდინარე მაწანწარას მარცხენა ნაპირზე (რომელიც ყოველთვის დამშრალია, გარდა წყალუხვობის პერიოდისა), სოფელ ვარდისუბანის ფარგლებში, აღმოსავლეთ საქართველოში, კახეთში, თელავის მუნიციპალიტეტში. ჩრდილოეთით იგი ესაზღვრება სოფელ ვარდისუბანს, აღმოსავლეთით - თელავს, სამხრეთით - მდინარე მაწანწარას. ტერიტორიის ქანობი მიმართულია ჩრდილო-აღმოსავლეთით, დახრის კუთხე საშუალოდ შედგენს 4-6°.</p> <p>ტერიტორიის საერთო სიგრძეა 679მ, მინიმალური სიგანე 16 მ, მაქსიმალური – 75 მეტრი. ტერიტორიის საერთო ფართობია 28836მ² (2,9 ჰა). (ნარჩენები დაყრილია გზის მეორე მხარეს მდებარე პატარა ნაკვეთზეც, რომელიც პროექტის ფარგლებში არ შედის).</p> <p>ობიექტი დაცლებულია „ვაზიანი-თელავი“ და „ახმეტა-თელავი“ გზის გზაჯვარედინიდან 145 მ-ით. გზაჯვარედინიდან ყველაზე დაშორებული საზღვრიდან</p>		

40 მ დაშორებით ფუნქციონირებს მცირე სიმძლავრის ინერტული მასალების საწარმო. ობიექტის გაყოლებაზე გზის პარალელურად (გზის სავალი ნაწილიდან 50 მ დაშორებით) გაჭრილია 1.5 მეტრი სიგანის და 08 ± 1.0 მ სიღრმის თხრილი. თხრილის ნაპირებზე და ძირში ბუჩქნარი და ბალახის საფარია.

ჰაერის ხარისხის ანალიზის თანახმად (გაიზომა N₂, O₂, Ar, CO₂, CO, CH₄ შემცველობა) ატმოსფერული ჰაერის ხარისხი საკვლევ ტერიტორიაზე უსაფრთხოა ადამიანის ჯანმრთელობისათვის. საკვლევი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი ანთროპოგენური ზეგავლენის ქვეშ იმყოფება, შესაბამისად ნიადაგის ფენა არ არის ფასეული. ნიადაგის ხარისხის შესწავლამ დაამტკიცა, რომ კადმიუმის შემცველობა ყველა ნიმუშში მეთოდის ფარგლებში გამოვლინების ზღვარს ქვემოთაა. ტყვის, ნიკელის, სპილენძისა და ცინკის შემცველობა არ აღემატება შესაბამის მაქსიმალურ დასაშვებ კონცენტრაციას, მაშინ როდესაც არსენიუმი ოდნავ აღემატება დასაშვებ ზღვარს, მაგრამ ადგილობრივი ფონის ფარგლებშია. ნედლი ნავთობის შემადგენელი ნახშირწყალბადების შემცველობა ძალიან დაბალია და/ან მეთოდის ფარგლებში გამოვლინების ზღვარს ქვემოთაა.

გრუნტის წყლების ჰორიზონტი თელავსა და სოფელ ვარდისუბანში ღრმაა (30-40მ).

ტერიტორია მდებარეობს 9 ბალიან (MSK64 შკალა) სეისმურ ზონაში. ტერიტორიის სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი შეადგენს - 0.32.

საკვლევი ტერიტორიის ხმაურის ძირითად წყაროს საავტომობილო გზაზე სატრანსპორტო ნაკადი წარმოადგენს. არსებული ხმაური არ აღემატება დასაშვებს გზიდან 10 მეტრის მოშორებით.

საკვლევი ტერიტორია ღარიბია ფლორით - მცენარეული საფარი წარმოდგენილია ერთეული ხეებით და ბუჩქოვანი ფორმაციებით, საპროექტო არეალში რეგისტრირებულია დაბალი პროდუქტიულობის მცენარეები.

ტერიტორიის ვიზუალური აუდიტის შედეგად არ დაფიქსირდა ცხოველის ადგილსამყოფელის და ნაკვალევის არსებობა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ საპროექტო ტერიტორიას მიგრაციისათვის იყენებენ წვრილი ძუძუმწოვრები. მდინარე მაწანწარას კალაპოტი მთელი წლის განმავლობაში უმეტესად წყლის გარეშეა. ამიტომ, იქთიოფაუნის არსებობა მასში გამორიცხულია.

ქვემოთ აღწერილია ობიექტის ფიზიკური გარემო:

უბანი 1 (ტერიტორიის ყველაზე ვიწრო უბანი). უბნის დაახლოებით შუა ნაწილში, გზიდან შემოდის 1000 მმ დიამეტრის ბეტონის წყალსატარი მილი. მილის მართობულად გადის 50 და 100 მმ დიამეტრის ფოლადის წყალსადენი მილები. მილების პარალელურად ჩადებულია ელექტრომომარაგების კაბელი, პლასტიკური მასალის დამცავი იზოლაციით.

უბნებზე 2 და 3 რაიმე სახის კომუნიკაციები ვიზუალურად არ შეინიშნება. ამ უბნებზე მდებარეობს შიდა გზა, რომელიც გრძელდება მთავარი გზიდან მაწანწარას ხევის კალაპოტამდე.

უბანი 4. ამ უბნის ზედა საზღვრიდან 30 მ დაშორებით, ვაზიანი-თელავის გზიდან 15 მეტრის მანძილზე, მიწაში ჩამონტაჟებულია ორლუკიანი ფოლადის ცისტერნა, რომლის სავარაუდო ტევადობა შეადგენს 25÷30მ³-ს. ორივე ლუკი ღიაა. ცისტერნაში მცირე რაოდენობის წყალი და სამშენებლო ნარჩენებია დაფიქსირებული. ამავე ტერიტორიაზე, გზიდან 6 მეტრის დაცილებით არის დაახლოებით 30÷40 მ² ფართობის გუბურა, რომელშიც ხვდება ინერტული მასალების საწარმოს ჩამდინარე წყალი. გუბურისაგან მოშორებით, მიწის ზედაპირზე მოჩანს დიდი დიამეტრის (500 მმ) ორი, ერთმანეთის პარალელური ფოლადის მილის ზედა ნაწილი. აღიშნული მილები, სავარაუდოდ, უნდა მიეკუთვნებოდეს ყოფილ ან მოქმედ წყალსადენს, საჭიროა დაზუსტება თელავის მუნიციპალიტეტში.

უბანი 5. საინჟინრო კომუნიკაციების არსებობა არ ფიქსირდება. ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვარზე გადის ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა.

<p>მასალის (მათ შორის წყლის, ქვის და სხვ) ლიცენზირებული უახლოესი წყაროს ადგილმდებარეობა და მანძილი ობიექტამდე?</p>	<p>მასალით (ინერტული მასალა) უზრუნველყოფა შესაძლებელია უახლოესი, მაგ. მდ.თურდოსხევის გაყოლებაზე არსებული კარიერებიდან. დაშორება ობიექტიდან დაახლოებით 2.5-5კმ-ია.</p> <p>სამუშაოს მცირე მოცულობის გათვალისწინებით ნაკლებსავარაუდოა კონტრაქტორმა გადაწყვიტოს საკუთარი კარიერის დამუშავება. თუმცა, თუ მას უკვე აქვს ლიცენზია მასალის მოპოვებაზე, მან შეიძლება გამოიყენოს 'თავისი მასალა'.</p> <p>სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, წყლის გამოყენება საჭირო იქნება აზბესტშემცველი მასალის შეგროვება-შეფუთვისას ტერიტორიის მოსარწყავად, მიწის სამუშაოების წარმოებისას მტვრის შესამცირებლად (საჭიროების შემთხვევაში) და მცენარეული საფარის აღდგენის შემდეგ ტერიტორიის მოსარწყავად. ტექნიკური წყლის მიწოდება მოხდება ცისტერნებით, სასმელად გამოყენებული იქნება ბუტილირებული ან დასახლების წყალმომარეგების სისტემიდან აღებული წყალი (უახლოესი საცხოვრებელი სახლამდე დაშორება 50მ). ბალახის თესლის შემენა მოხდება თელავში, (დაახლოებით 400მ მანძილზე).</p> <p>აგური და ცემენტი შეძენილი იქნება ლიცენზირებული მომწოდებლისგან.</p>
--	---

<p>კანონმდებლობა</p>	
<p>ეროვნული და ადგილობრივი კანონმდებლობა და ნებართვები, რომლებიც პროექტით გათვალისწინებულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული</p>	<p>კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ - აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს, განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის ამომწურავ ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის, მათში ცვლილებების შეტანის და მათი გაუქმების წესებს. რადგან პროექტი ითვალისწინებს ტერიტორიის მოწესრიგება-რეაბილიტაციის სამუშაოებს და ახლი ობიექტების მშენებლო დაგეგმილი არ არის, საქმიანობის განხორციელება მშენებლობასთან დაკავშირებული რაიმე ლიცენზიის ან ნებართვის აღებას არ საჭიროებს. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ აზბესტის შეგროვება-გატანა-განთავსებისას სამუშაოები უნდა განხორციელდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ლიცენზირებული კონტრაქტორის მიერ.</p>

„საზოგადოებრივი ჯანდაცვის შესახებ“ კანონის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ყველა ადამიანი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი საქმიანობა, რომელიც ქმნის გადამდები და არაგადამდები დაავადებების გავრცელების საფრთხეს, იწვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რისკების წარმოქმნას. პროექტის განხორციელებისას, იმის გათვალისწინებით, რომ დაგეგმილია აზბესტისშემცველი მასალის შეგროვება - გატანა საჭირო იქნება შესაბამისი შემამსუბუქებელი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა მუშების მიერ ობიექტზე უნიფორმებში და დამცავ საშუალებებში ყოფნა, ობიექტის მორწყვა აზბესტისშემცველი მასალის განკარგვისას, შეგროვებული სახიფათო ნარჩენების შეფუთვა და ობიექტზე განსაზღვრულ ადგილას დაწყობა ტრანსპორტირებისათვის.

კანონი „წყლის შესახებ,, არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს წყლის დაცვის, შესწავლისა და გამოყენების სფეროში. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდ.მაწანწარას მიმდებარედ. მიუხედავად იმისა, რომ მდინარე მხოლოდ წყალუხვობის პერიოდში მოედინება, პროექტის განხორციელებისას დაცული უნდა იყოს მდინარის კალაპოტის დაბინძურების რისკის გამორიცხვის აუცილებლობა.

პროექტის განხორციელების პროცესში არსებობს ნიადაგის ნაყოფიერი ფენის დაზიანების და ნიადაგის ხარისხის გაუარესების (დაბინძურების) რისკი; ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით შესაძლებელია ეროზიული პროცესების განვითარება. „ნიადაგის დაცვის შესახებ“ კანონის და საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების N2-277 (2005 წლის 25 ნოემბერი) „ნიადაგის ეროზიისაგან დაცვის კომპლექსურ ღონისძიებათა რეკომენდაციის“ დამტკიცების შესახებ - შესაბამისად, ქვე-პროექტით გათვალისწინებული ნაპირის გამაგრება გაბიონების საშუალებით და ტერიტორიის გაყოლებაზე, გზის მხარეს წყალსარინი არხის მოწყობა.

პროექტის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გასათვალისწინებელია საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრის ბრძანება N4 2002 წლის 18 იანვარი „საქართველოს ზღვისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის წესების

	<p>დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს კანონი „საქართველოს ზღვის, წყალსატევებისა და მდინარეთა ნაპირების რეგულირებისა და საინჟინრო დაცვის შესახებ.“</p> <p>ქვე-პროექტი გულისხმობს სამშენებლო ნარჩენების განთავსების ტერიტორიის მოწესრიგება-რეკულტივაციას, შესაბამისად, მხედველობაშია მისაღები:</p> <p>1) საქართველოს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2005 წლის 27 მაისის №113 ბრძანება „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე და</p> <p>2) საქართველოს მთავრობის დადგენილება №424 (2013 წლის 31 დეკემბერი) „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენებისა და რეკულტივაციის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე. დოკუმენტები უზრუნველყოფენ საქართველოს ტერიტორიაზე მიწის რესურსების დაცვის და რაციონალურად გამოყენების მიზნით სხვადასხვა მიწის სამუშაოების ჩატარების დროს ნაყოფიერი ნიადაგის მოხსნის, დროებით განთავსების და შემდგომი მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენების საკითხებს. დებულების მოთხოვნების მიხედვით, დეგრადირებული ნიადაგების ნაყოფიერების აღდგენა უნდა მოხდეს რეკულტივაციის (ტექნიკური, ბიოლოგიური) მეთოდებით.</p> <p>სამშენებლო ნარჩენების ნაგავსაყრელზე გატანა ან მიწის სამუშაოების განმავლობაში წარმოქმნილი ინერტული მასალების საბოლოო განთავსება წინასწარ შერჩეულ ტერიტორიაზე წერილობით უნდა იქნას შეთანხმებული ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან და შპს საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან.</p>
საზოგადოებასთან კონსულტაციები	
<p>როდის / სად ჩატარდება საზოგადოებასთან კონსულტაციები</p>	<p>ქვე-პროექტისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმა სამუშაოების დაწყებამდე განხილულ იქნა სოფ. ვარდისუბნის მოსახლეობასთან საკონსულტაციო შეხვედრაზე, რომელიც ჩატარდა სოფ. ვარდისუბნის კურლტურის სახლში 2014 წლის 6 ოქტომბერს (ოქმი თანდართულია დოკუმენტზე).</p>
დანართები	
<p>დანართი 1: ობიექტის რუკა და სურათები, გენგეგმა დანართი 2: საჯარო განხილვის ოქმი</p>	

ნაწილი ბ: უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია

გარემოსდაცვითი /სოციალური სკრინინგი			
	საქმიანობა/საკითხი	სტატუსი	შემამსუბუქებელი ღონისძიებები
ნავარაუდევია თუ არა პროექტის განხორციელებისას შემდეგი საქმიანობა?	a. შენობის რეაბილიტაცია	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	b. ახალი მშენებლობა	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი A
	c. ინდივიდუალური საკანალიზაციაო წყალგამწმენდი სისტემა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი B
	d. ისტორიული შენობა (შენობები) და უბნები	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი C
	e. მიწის შექმნა ¹	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი D
	f. სახიფათო, ან ტოქსიკური ნივთიერებები ²	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი E
	g. ზეგავლენა ტყეებზე და/ან დაცულ ტერიტორიებზე	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი F
	h. სამედიცინო ნარჩენების დამუშავება/განკარგვა	<input type="checkbox"/> დიახ <input checked="" type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი G
	i. სატრანსპორტო და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	<input checked="" type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	იხ. ქვემოთ ნაწილი H

1. მიწის შესყიდვა გულისხმობს ხალხის ადგილმონაცვლოებას, საარსებო საშუალებების ცვლილებას, კერძო საკუთრების ხელყოფას, ეს იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მიწის შესყიდვა/გადაცემა და ეხება ადამიანებს, რომლებიც უკანონოდ ან კანონიერად ცხოვრობენ ან აწარმოებენ ბიზნეს საქმიანობას (ჯიხურები) იმ მიწაზე, რომლის შესყიდვაც ხდება.
2. ტოქსიკური/სახიფათო მასალები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება ქვემოთმოყვანილით: აზბესტი, ტოქსიკური საღებავი, მავნე გამხსნელები, ტყვიის საღებავის მოცილება და ა.შ.

ნაწილი გ: შემამსუბუქებელი ზომები

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
o. ზოგადი პირობები	შეტყობინება და პერსონალის უსაფრთხოება	<p>(a) მშენებლობის და გარემოსდაცვითი საკითხების ადგილობრივი მაკონტროლებელი ორგანოები და საზოგადოება ინფორმირებული არიან მოსალოდნელი საქმიანობის შესახებ;</p> <p>(b) საზოგადოებას აღნიშნული სამუშაოების შესახებ ეცნობა მედიაში და/ან საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ ობიექტებზე (მათ შორის სამუშაოებისთვის განსაზღვრული ობიექტის ჩათვლით) განთავსებული შესაბამისი შეტყობინებით;</p> <p>(c) მიღებულია მშენებლობის და/ან რეაბილიტაციისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ნებართვა;</p> <p>(d) კონტრაქტორი ოფიციალურად თანახმაა, რომ ყველა სახის სამუშაო განხორციელდეს უსაფრთხო და დისციპლინირებული სახით, რაც ემსახურება მეზობლად მაცხოვრებლებსა და გარემოზე ზემოქმედების მინიმუმაციას;</p> <p>(e) პერსონალის უსაფრთხოების აღჭურვილობა შეესაბამება მიღებულ საერთაშორისო პრაქტიკას (ყოველთვის გამოიყენება დამცავი შლემები, საჭიროების შემთხვევაში ნიღბები და უსაფრთხოების სათვალეები, ფორმები და უსაფრთხო ჩექმები);</p> <p>(f) საპროექტო ტერიტორიებზე განთავსებული შესაბამისი საინფორმაციო დაფები მიუთითებს მუშებს შესასრულებელი ძირითადი წესებისა და ინსტრუქციების შესახებ.</p>
A. სარეაბილიტაციო და/ან სამშენებლო საქმიანობები	ჰაერის ხარისხი	<p>(a) ნგრევის შედეგად მიღებული ნამსხვრევების შენახვა უნდა მოხდეს კონტროლირებად ადგილზე და დაინამოს წყლით მტვრის შესამცირებლად;</p> <p>(b) პნევმატური ბურღით ნგრევის პროცესში მტვრის წარმოქმნა და გავრცელება შეზღუდული უნდა იქნეს წყლით დანამვით და/ან მტვრის საწინააღმდეგო ეკრანების გამოყენებით;</p> <p>(c) ნანგრევების დაყრა არ უნდა მოხდეს მიმდებარე ტერიტორიებზე (ტროტუარები, გზები) მტვრის მინიმუმამდე დასაყვანად;</p> <p>(d) არ უნდა მოხდეს სამშენებლო ნარჩენების ღიად დაწვა ობიექტზე;</p> <p>(e) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა;</p> <p>(f) სამშენებლო მასალები/ნარჩენები ტრანსპორტირების დროს უნდა იქნეს დაფარული/დატენიანებული მტვრის წარმოქმნის შემცირების მიზნით.</p>
	ხმაური	<p>(a) სამუშაოებით გამოწვეული ხმაურის ზემოქმედებით შესაძლო დისკომფორტი შემცირდება სამუშაო საათების მკაცრი დაცვით;</p> <p>(b) საქმიანობის დროს, აუცილებელია გენერატორების, საჰაერო კომპრესორების (თუ მათი</p>

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
		<p>საჭიროება იქნება) და სხვა მექანიკური აღჭურვილობის სახურავების დახურვა და მათი განთავსება დასახლებული პუნქტებისგან რაც შეიძლება შორს;</p> <p>(c) სატრანსპორტო საშუალებებმა უნდა იმოძრაონ წინასწარ შეთანხმებული მარშრუტით;</p> <p>(d) უნდა განისაზღვროს სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის მაქსიმალური ნებადართული სიჩქარე;</p> <p>(e) უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სატრანსპორტო საშუალებებისა და მანქანა დანადგარების სათანადო მოვლა და შესაბამისი ტექნიკური კონტროლი;</p> <p>(f) არ უნდა იქნეს ნებადართული სატრანსპორტო საშუალებების და მანქანა-დანადგარების უქმი სვლა; გამოყენებული უნდა იქნეს მაყუჩები.</p>
	წყლის ხარისხი	<p>(a) კონტრაქტორს მოეთხოვება მოაწყოს მასალების დასაწყობების ადგილი, რომელიც წყალგაუმტარი მასალით უნდა იქნას დაცული წარეცხვისაგან ძლიერი წვიმის ან დატბორვის დროს. გატარებული უნდა იქნეს ეროზიისა და ნალექების კონტროლის ღონისძიებები, როგორცაა თივის შეკვრებისა და/ ან ლამის მესერის მოწყობა, რაც ხელს შეუშლის ნალექების სამშენებლო ტერიტორიიდან ჩარეცხვას ახლომდებარე წყლის ობიექტში და მის ამღვრევას.</p> <p>(b) მიწის სამუშაოებისა და ნიადაგისა და გრუნტის დროებითი დასაწყობების ადგილების მოწყობისას მინიმუმამდე უნდა იქნეს შემცირებული წარეცხვის საფრთხე;</p> <p>(c) მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები უნდა შემოწმდეს რეგულარულად, რათა არ ხდებოდეს ზეთებისა და საწვავის დაღვრა. უნდა ხორციელდებოდეს მანქანა-დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების სათანადო მოვლა, ისე რომ მინიმუმამდე იქნეს შემცირებული დაღვრების საფრთხე. სატრანსპორტო საშუალებების შემოწმება უნდა ხდებოდეს ყოველდღიურად სპეციალურად გამოყოფილ მყარ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. მანქანების სადგომი და შეკეთების ადგილები დაშორებული უნდა იქნეს წყლის ობიექტიდან მინიმუმ 50 მეტრით.</p> <p>(d) ზეთები, გამხსნელები და საწვავი შენახული უნდა იქნეს გამოყოფილ ადგილებში შესაბამისი საფარით და საწრეტით. სამშენებლო მოედანზე ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაღვრის შემთხვევაში შემკავებელი მასალები (სორბენტები, ქვიშა, ნახერხი).</p> <p>(e) არ უნდა მოხდეს ცემენტის ან ბეტონის ნარჩენების ჩარეცხვა რომელიმე წყლის ობიექტში, გუბურაში ან არხში.</p>

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
	ნარჩენების განკარგვა	<p>(a) სამშენებლო საქმიანობიდან მოსალოდნელი ყველა მნიშვნელოვანი ტიპის ნარჩენისათვის განსაზღვრული უნდა იქნას მისი შეგროვებისა და განთავსების ადგილები;</p> <p>(b) მინერალური სამშენებლო და ნანგრევი ნარჩენები გამოცალკევებული უნდა იქნეს ზოგადი ნაგვის, ორგანული, თხევადი და ქიმიური ნარჩენებისგან, ობიექტზევე დახარისხდეს და შენახულ იქნას სპეციალურ კონტეინერებში;</p> <p>(c) სამშენებლო ნარჩენები უნდა შეგროვდეს და სათანადოდ განთავსდეს ლიცენზირებული ორგანიზაციის მიერ;</p> <p>(d) უნდა იწარმოებოდეს და ინახებოდეს დოკუმენტაცია ნარჩენების საბოლოო განთავსების თაობაზე, რათა შესაძლებელი იყოს სათანადოდ განკარგვის დასაბუთება;</p> <p>(e) კონტრაქტორმა შეძლებისდაგვარად უნდა გადაამუშაოს და ხელახლა გამოიყენოს შესაბამისი ნარჩენები (გარდა აზბესტისა).</p>
	მასალების მოწოდება	<p>(a) გამოყენებული უნდა იქნეს არსებული ქარხნები, კარიერები, და სამტეხლოები რომლებზეც გაცემულია შესაბამისი ოფიციალური ნებართვა ან მოქმედი ლიცენზია;</p> <p>(b) ახალი კარიერის ან სამტეხლოს ამოქმედების შემთხვევაში კონტრაქტორმა უნდა მოიპოვოს შესაბამისი ლიცენზია;</p> <p>(c) კარიერი/სამტეხლო ან მისი გამოყენებული ნაწილი უნდა იქნეს აღდგენილი ან სათანადოდ დახურული თუ ლიცენზიის მოქმედების ვადა ამოწურულია ან ინერტული მასალის მოპოვება დასრულებულია;</p> <p>(d) მასალების ტრანსპორტირება არ უნდა მოხდეს პიკის საათებში.</p> <p>(e) განთავსებული უნდა იქნას სიჩქარის შეზღუდვის, შემოვლითი გზის და გამაფრთხილებელი საგზაო ნიშნები ტრანსპორტისათვის, საჭიროებისამებრ.</p>
	გზის გასწვრივ არსებული ხეების დაცვა	<p>(a) არ უნდა მოხდეს გზის გასწვრივ არსებული ხეების მოჭრა და უნდა მოხდეს მათი უნებლიე დაზიანებისაგან დაცვა;</p> <p>(b) კიუვეტებზე არსებული ბუჩქნარის და მცენარეების მოჭრა და გატანა წერილობით ნებადართული უნდა იყოს ადგილობრივი (მუნიციპალური) მმართველი ორგანოს მიერ.</p>

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
E. ტოქსიკური მასალები	აზბესტის განკარგვა	<p>(a) ქვე პროექტის ობიექტზე განთავსებული აზბესტი გარკვევით უნდა აღინიშნოს როგორც სახიფათო მასალა.</p> <p>(b) აზბესტი სათანადოდ უნდა იქნას შენახული და დალუქული, მის ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად;</p> <p>(c) გატანამდე აზბესტი უნდა დამუშავდეს დამასველებელი ხსნარით რათა შემცირდეს აზბესტის მტვერი;</p> <p>(d) აზბესტის გატანა უნდა მოხდეს გამოცდილი პროფესიონალების მიერ რომლებიც აღჭურვილნი ქნებიან სპეციალური დამცავი აღჭურვილობით;</p> <p>(e) თუ აზბესტის მასალა ინახება დროებით, ნარჩენები უსაფრთხოდ უნდა იყოს დახურული და შესაბამისად აღნიშნული, უსაფრთხოების ზომები უნდა იქნას გატარებული სამშენებლო ობიექტიდან უნებართვოდ გატანის თავიდან ასაცილებლად.</p> <p>(f) გატანილი აზბესტი არ უნდა იქნას ხელახლა გამოყენებული</p> <p>(g) აზბესტი საბოლოოდ განთავსდება უახლოეს ოფიციალურ ნაგავსაყრელზე გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის წერილობითი შეთანხმების შესაბამისად.</p>
H სატრანსპორტო საშუალებებისა და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება	სამშენებლო საქმიანობის სახიფათო პიდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება საზოგადოებრივ ტრანსპორტზე და ფეხით მოსიარულეებზე	<p>ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად კონტრაქტორი უზრუნველყოფს, რომ სამშენებლო ობიექტი შესაბამისად იქნას დაცული, ხოლო მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის ფუნქციონირება - რეგულირებული. რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ განთავსებული უნდა იქნას საგზაო გამაფრთხილებელი ნიშნები, ბარიერები და ტრანსპორტის მარშრუტის ცვლილების ნიშნები. ობიექტი კარგად ხილული უნდა იყოს, ხოლო საზოგადოება - გაფრთხილებული ყველა შესაძლო საფრთხის შესახებ; ▪ უნდა ჩამოყალიბდეს მოძრაობის რეგულირების სისტემა და ჩატარდეს თანამშრომელთა ტრენინგი, განსაკუთრებით კი ტერიტორიაზე შესვლისა და ტერიტორიის მახლობლად მძიმე ტექნიკის გადაადგილების შესახებ. ფეხით მოსიარულეთათვის უნდა მოეწყოს უსაფრთხო გადასასვლელები იმ ადგილებში, სადაც მოძრაობს სამშენებლო ტექნიკა; ▪ სამუშაო საათები შესაბამისობაში უნდა იქნეს მოყვანილი ადგილობრივი ტრანსპორტის მოძრაობის განრიგთან, მაგ: ინტენსიური გადაზიდვები არ უნდა განხორციელდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინტენსიური მოძრაობის

საქმიანობა	პარამეტრი	შემამსუბუქებელი ზომების ჩამონათვალი
		<p>პერიოდში ან მსხვილფეხა პირუტყვის გადაადგილების საათებში;</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ტრანსპორტის მოძრაობა უნდა იმართებოდეს დატრენინგებული თანამშრომლების მიერ; ▪ გზის რეაბილიტაციის სამუშაოების დროს უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფეხითმოსიარულეთა უსაფრთხო მისვლა მაღაზიებთან, საცხოვრებელ სახლებთან; ▪ სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობისას, თუკი შენობები არ იხურება საზოგადოებისათვის, ოფისის შენობებთან, მაღაზიებთან და საცხოვრებელ შენობებთან უსაფრთხო და შეუფერხებელი მისვლის უზრუნველყოფა; ▪ მოწყობილი უნდა იქნეს სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები და განთავსდეს შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნები (ვიწრო გზა) ადგილობრივ საპატრულო პოლიციასთან შეთანხმებით.

ნაწილი დ: მონიტორინგის გეგმა

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
სამშენებლო ფაზა						
სამშენებლო მასალების მიწოდება გაბიონების და წყალსაგდები მილხიდის მოწყობისას	სამშენებლო მასალების შექმნა მხოლოდ ოფიციალურად დარეგისტრირებული მომწოდებლებისაგან	მომწოდებლის ოფისში, ან საწყობში	დოკუმენტების შემოწმება	მოწოდების კონტრაქტების გაფორმებისას	ინფრასტრუქტურის ტექნიკური სანდოობის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი
აზბესტის შემცველი მასალის შეგროვება, შეფუთვა და გატანა	<ul style="list-style-type: none"> • ტერიტორიის სასიგნალო ლენტით შემოზღუდვა; • სარეგულაციო პერიმეტრზე გამაფრთხილებელი ნიშნების განთავსება; • ტერიტორიაზე უცხო პირთა შესვლის აკრძალვა; • ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (PPE) აღჭურვა: ჩაფხუტი, დამცავი სათვალე, 	სამშენებლო უბნის ტერიტორიაზე	გაუფრთხილებელი შემოწმებები, ვიზუალური კონტროლი	სამუშაოების წარმოების მსვლელობისას	მოსახლეობის და პერსონალის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>ხელთათმანები, პირის და ცხვირის დამცავი რესპირატორი, ერთჯერადი მოხმარების კომბინიზონი, რეზინის ჩექმები. PPE-ს გამოყენება აზბესტის განმკარგავი პერსონალის მიერ;</p> <ul style="list-style-type: none"> • აზბესტშემცველი მასალების შეგროვების წინ ტერიტორიის დანამვა ჰაერის აზბესტის ბოჭკოებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად; • აზბესტის განკარგვის სამუშაოებისას: ჰაერის შებერვის, მშრალი დახვეტის, კონტროლირებადი ზონის შიგნით ჭამის/სმის, შესაბამისი ინსტრუქციის გარეშე არეში შესვლა და კონტროლირებადი 					

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>არედან დაბინძურებული ტანსაცმლით გამოსვლის აკრძალვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • მასალის სათანადოდ შეფუთვის კონტროლი; • აზბესტის შემცველი ნარჩენების დათვირთვა-გადმოტვირთვის პირობების დაცვა. 					
აზბესტის შემცველი ნარჩენების განთავსება	<ul style="list-style-type: none"> • ტრანშეის ზომების შესაბამის სტანდარტებთან შესატყვისობის კონტროლი • აზბესტშემცველი მასალის ტრანშეაში განთავსების პირობების დაცვა 	ნაგავსაყრელის ტერიტორია - საბოლოო განთავსების უბანი	შემოწმება	ნარჩენების ნაგავსაყრელზე განთავსებისას	გარემოს და მოსახლეობის ჯანმრთელობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მიწის სამუშაოები	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა • მოხსნილი ნიადაგის დროებით განთავსება შეთანხმებულ ტერიტორიაზე სათანადო დაცვის ღონისძიებების (ქარით გაფანტვის, ზედაპირული ჩამონადენით წარეცხვის და დატკეპნისგან დაცვით) გათვალისწინებით; • მოხსნილი ნიადაგის გაშლა ტერიტორიაზე სამუშაოს დასრულების შემდეგ. 	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	მიწის სამუშაოების მიმდინარეობის დროს	სამშენებლო და მისი მიმდებარე ტერიტორიის სამშენებლო ნარჩენებით დაბინძურების თავიდან აცილება	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
ტერიტორიის პროფილირება	<ul style="list-style-type: none"> • მტვრის შემცირების ღონისძიებების გატარება; • მასალის მდინარის კალაპოტში ჩაყრის თავიდან აცილება; • მანქანა-მექანიზმების გამართული ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი. 	ობიექტის ტერიტორია	შემოწმება	პერიოდულად სამუშაოთა წარმოების პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	მტვერსა და გამონაბოლქვთან დაკავშირებული დისკომფორტის/ზე მოქმედების შესამცირებლად; მდინარის კალაპოტის ჩახერგვის თავიდან ასაცილებლად; ნაწვეთი ზეთის/საწვავით ნიადაგის დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
ტერიტორიაზე არსებული ხეების დაცვა	<ul style="list-style-type: none"> • სამუშაოს წარმოებისას ხის დაზიანების თავიდან აცილება; • ხის ფესვთა კრიტიკულ ზონაში მასალის დაყრის აკრძალვა; • ხეების დაცვა სამუშაოს დასრულების შემდეგ. 	ხე-მცენარეების უბანი ობიექტზე	შემოწმება	სამუშაოს წარმოებისას	მცენარის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი
მასალის	ინერტული (სამშენებლო)	მასალის	შემოწმება	პერიოდულად	სამშენებლო	მგფ,


საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
განთავსება/დასაწყობება	მასალის განთავსება სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიაზე;	განთავსების ტერიტორია		სამუშაოთა წარმოების პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	ობიექტის და მომდებარე ტერიტორიების ჩახერგვის და ამასთან დაკავშირებული პრობლემების (ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა გადაადგილების შეფერხება, უსაფრთხოების წესების დარღვევა) თავიდან ასაცილებლად.	მშენებლობის ზედამხედველი
ნარჩენი მასალის განკარგვა	<ul style="list-style-type: none"> ინერტული (სამშენებლო) ნარჩენების შენახვა სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში; ხელახლა გამოსაყენებლად ვარგისი ნარჩენი მასალის რაოდენობის 	<ul style="list-style-type: none"> მასალის განთავსების ტერიტორია; კონტრაქტორის კუთვნილი ტერიტორია. 	შემოწმება	პერიოდულად სამუშაოთა წარმოების პროცესში და პრეტენზიების შემთხვევაში	სამშენებლო ობიექტის და მომდებარე ტერიტორიების მყარი ნარჩენებით დაბინძურების თავიდან ასაცილებლად.	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი


საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
	<p>აღრიცხვა;</p> <ul style="list-style-type: none"> • არასახიფათო ზედმეტი მასალის განთავსება ობიექტზე მოშანდაკებით, დატკეპნვით და მოსწორებით. 					
ტრანსპორტის მოძრაობის დარღვევა და ფეხით მოსიარულეთა მიმოსვლის შეზღუდვა	<ul style="list-style-type: none"> • სატრანსპორტო მოძრაობის შეზღუდვის/მოძრაობის მიმართულების შეცვლის ნიშნების განთავსება; • სამშენებლო მასალებისა და ნარჩენების დროებითი განთავსება ისე, რომ თავიდან იქნას აცილებული სატრანსპორტო საცობები მისასვლელ გზებზე. 	ობიექტი და მისი მიმდებარე ტერიტორიები	ინსპექტირება	სამშენებლო სამუშაოების პერიოდში	სატრანსპორტო შემთხვევების თავიდან აცილება; ადგილობრივ მოსახლეობის შეწუხების მინიმუმამდე დაყვანა.	მგფ, მშენებლობის ზედამხედველი

საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
მუშების ჯანმრთელობა და უსაფრთხოება	<ul style="list-style-type: none"> • მუშების ფორმებით და ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით აღჭურვა; • მუშების და პერსონალის ინფორმირება მექანიზმებთან/აღჭურვილობასთან მუშაობისას ინდივიდუალური უსაფრთხოების წესების და ინსტრუქციების შესახებ და ასევე აღნიშნული წესები/ინსტრუქციების ზედმიწევნით დაცვა 	სამშენებლო ობიექტი	ინსპექტირება	გაუფრთხილებელი შემოწმება სამუშაოების მსვლელობისას	უბედური და საგანგებო შემთხვევების თავიდან აცილება	მგვ, მშენებლობის ზედამხედველი


საქმიანობა	რა პარამეტრის მონიტორინგი ხდება?	სად ტარდება მონიტორინგი	როგორ უნდა განხორციელდეს პარამეტრის მონიტორინგი	როდის რა სიხშირით/ პერიოდულობით უნდა განხორციელდეს მონიტორინგი?	რატომ ხდება პარამეტრის მონიტორინგი	ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგზე?
საოპერაციო ფაზა						
გაბიონების ტექნიკური მდგომარეობა	<ul style="list-style-type: none"> გაბიონების კარგი ტექნიკური მდგომარეობის შენარჩუნება 	ობიექტის ტერიტორიის ფარგლებში	ვიზუალური კონტროლი	პერიოდულად, სამუშაოს დასრულების შემდგომი 2 წლის განმავლობაში. ძლიერი წყალმოვარდნების შემდეგ.	ნაპირის დაცულობის შესანარჩუნებლად	თელავის მუნიციპალიტეტი

დანართი 1:
რუკები





ტერიტორიის გეგმა კოორდინატების და ობიექტზე არსებული უბნების მითითებით



მიწის მფლობელობა –საკადასტრო მონაცემები



საქართველოს საკადასტრო კოდი N 53.08.42.186

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014336728 - 27/06/2014 13:20:06

მომზადების თარიღი
03/07/2014 16:29:44

საკუთრების განყოფილება

ზონა თელავი	სექტორი ვარდისუბანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 20321.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
53	08	42	186	

მისამართი: თელავი , სოფელი ვარდისუბანი

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014336728 , თარიღი 27/06/2014 13:20:06
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/07/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება N111 , დამოწმების თარიღი:26/06/2014 , თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

მესაკუთრეები:
თელავის მუნიციპალიტეტი

მესაკუთრე:
თელავის მუნიციპალიტეტი

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გარანცხობა:
რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

კაბდლა/აკრძალეა:
რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი:
რეგისტრირებული არ არის


მიწის მფლობელობა –საკადასტრო მონაცემები



საკადასტროს მონიტორინგის სამსახური
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: 53 08 42 186
განცხადების რეგისტრაციის ნომერი: 882014336728
მიწის ნაკვეთის ფართობი: 20321 კვ.მ.
დასახელება: არასასოფლო-სამეურნეო

გეგმვის თარიღი: 30.06.14



- | | | | | | |
|--|------------------------------------|--|--|--|---------------------|
| | წყლის ნაკვეთი | | სოფლის მეურნეობის მიზნით გამოყენების ნაკვეთი | | საბუნების ნაკვეთი |
| | მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | | საკადასტრო საზღვარი | | საკადასტრო საზღვარი |

საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, თბილისი 0102 ქ. ნაგლისანი, მე-2 კვ. (995 32) 91 04 27; ფაქსი (995 32) 91 03 41
თელავის საგეგმარო-სამშენებლო კომპანია, ქ. თელავი, 2300 ნიქელის ქ. № 35

www.nspa.gov.ge



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014250243 - 16/05/2014 11:41:43

შომზადების თარიღი
22/05/2014 12:02:02

საკუთრების განყოფილება

ზონა თელავი	სექტორი ეარდისუბანი	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება ნაკვეთის ფუნქცია: არასახიოლო საშენობლო დამუშავებული ფართობი:1202.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი:
53	08	42	170	

მისამართი: თელავი , სოფელი ეარდისუბანი

შესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014250243 , თარიღი 16/05/2014 11:41:43
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 22/05/2014

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ბრძანება NI/1-761 , დამოწმების თარიღი:05/05/2014 ,სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო

შესაკუთრები:
თელავის მუნიციპალიტეტი

შესაკუთრე:
თელავის მუნიციპალიტეტი

ბაწურა:

იპოთეკა

საგადასახადო გარანტია:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყიდვლი/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

შოუბლეუთ რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის




საქართველოს იუსტიციის საბიუროს
საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო
საქართველო ბანკი

მომხსენებლის საკადასტრო კოდი: 53 08 42 170
 ბანკის რეგისტრაციის ნომერი: 882013436695
 მოწოდების უბანი: 1202 კვ.მ.
 მანქანების რაოდენობა: არასანავაზრო-სამანქანო

მომხსენებლის მისამართი:

11.09.13



ფოტოები



გამოსაკვლევ ტერიტორიის ქვედა მიჯნა- მაჩვენებელი საგზაო ნიშანი გზაჯვარედინიდან 145 მეტრის დაცილებით



უბანი 1- ტიპიური მოშანდაკებული ფართობი ბალახისა და ბუჩქნარის საფარით



უბანი 1- შუა ნაწილში არსებული წყალსატარი მილის სათავისი; მოჩანს აგრეთვე წყალსადენი მილები 50 და 100 მმ დიამეტრის და ელექტროკაბელი (თეთრი ფერის იზოლაციით).



უბანი 1- სახასიათო სამშენებლო ნარჩენები



უბანი 12– სახასიათო ნარჩენები: კერამიკული ფილების , აზბესტცემენტის და კედლის ნამტვრევები. წინა პლანზე – თეთრი ფერის ბოჭკოვანი საიზოლაციო მასალა.



უბანი 2– სახასიათო სამშენებლო ნარჩენები



შიდა გზა უბანი 2–ს ტერიტორიაზე და მის გასწვრივ დაყრილი ნარჩენები.



უბანი 2 - აზბესტცემენტის ფილების ნამსხვრევები



უბანი 3 - აზბესტცემენტის ფილების ნამსხვრევები შიდა გზის პირას.



ამკრძალავი ნიშანი სანაყაროს ტერიტორიაზე



თხრილი (ტრანშეა), სიგანით 1,5მ სიღრმით 0,8 მ, რომელიც გასდევს ობიექტს.



უბანი 4 – დამახასიათებელი რელიეფი, ამ უბანზე ახლად დაყრილი სამშენებლო ან სხვა სახის ნარჩენები არ შეინიშნება.



უბანი 4 – მცირე ზომის გუბურა, ფართობი $\approx 40 \text{ მ}^2$



უბანი 4 - $\varnothing 500\text{მმ}$ ფოლადის მილუბი



ინერტული მასალების საწარმო, ობიექტის დასავლეთით. მოჩანს გამომდინარე ნამუშევარი წყლით წარმოქმნილი მცირე ზომის თხრილი.



უბანი 5-ის აღმოსავლეთით არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა.




უბანი 5 – საერთო ხედი. ტერიტორია განთავსებულია არსებული სამშენებლო ნარჩენების სანაყაროს ჩრდილოეთით, საავტომობილო გზის S-38 მეორე მხარეს.



უბანი 5 – ტერიტორიაზე დაყრილი სამშენებლო ნარჩენების დამახასიათებელი სურათი, აქ ჭარბობს აზბესტცემენტის შიფერის ნატეხები.

დანართი - გენერალური გეგმა



პროექტის აღნიშვნები LEGEND

- არსებული ელ. ბრუნავსაბუთი ელ. გადასმის ხაზის ბოძები
ELECTRICAL TRANSMISSION LINE POLES
 - არსებული ხე
EXISTING TREE
 - გეგმა საფარი
GRASS COVER
- 86363636:
863636 საფარის ფართობი-278248²
NOTE:
GRASS COVER AREA -278248²

საპ. გეგ. ხელმძღვ.	<i>[Signature]</i>	ბ. შირიძე		HARMONIZING CONSTRUCTION WASTE DISPOSAL AREA WITH NATURAL ENVIRONMENT 86363636, ნაწილი A - A, B - B GENERAL LAYOUT, VIEW A - A, B - B		
პრ. კონსტრუქციები	<i>[Signature]</i>	ნ. აბაშიძე				
დაამუშავა	<i>[Signature]</i>	მ. სარგოჯანიძე				
Head of Design Depart.	<i>[Signature]</i>	E. Miraladze	სტადია	ფურცელი / SHEET №		
Chief Constructor	<i>[Signature]</i>	N. Kazareva	2.2	8		
Edited by	<i>[Signature]</i>	T. Shiriadze	STAGE	შკალა / SCALE	დაამუშ. / DATE	
			ბ.ბ.	1:2000, 1:200		2014

დანართი 2: საჯარო განხილვის ოქმი

6 ოქტომბერი, 2014 წელი

სოფელი ვარდისუბანი, თელავის მუნიციპალიტეტი, საქართველო

საჯარო განხილვის ოქმი

რეგიონული განვითარების პროექტი (RDP)

სოფ. ვარდისუბანში, თელავში შესასვლელი ობიექტის დასუფთავება და კეთილმოწყობა
(თელავის მუნიციპალიტეტი)

გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა

2014 წლის 6 ოქტომბერს თელავის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვარდისუბნის კულტურის სახლის შენობაში გაიმართა ქვე-პროექტის „სოფ. ვარდისუბანში, თელავში შესასვლელი ობიექტის დასუფთავება და კეთილმოწყობა“ გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა.

შეხვედრა მიზნად ისახავდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებას ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოების, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი უარყოფითი/დადებითი ზეგავლენისა და უარყოფითი ზეგავლენის თავიდან აცილების გზებისა და საშუალებების შესახებ.

შეხვედრას ესწრებოდნენ:

ალექსანდრე შათირიშვილი - ქალაქ თელავის გამგებელი

სოფელ ვარდისუბნის მაცხოვრებლები:

ქეთევან ლეგაშვილი, ნაზი ჯაშიაშვილი, ჯიმი აივაზაშვილი, ნატალია ჯაშიაშვილი, ბელა გოგობერიშვილი, დიმიტრი ბორძიკიძე, კობა ბახბახაშვილი, მერაბ თუშიშვილი, უ. ბორძიკიძე.

გამა კონსალტინგის წარმომადგენლები: ზურაბ მაგალობლიშვილი, ალექსანდრე ბალახაშვილი

საერთაშორისო საზედამხედველო კომპანია „სტეგეტის“-წარმომადგენლები:

ზურაბ კვიციანი, პატრიცია ჯიაკომელი.

მუნიციპალური განვითარების ფონდის წარმომადგენლები:

ნინო ჯანგულაშვილი- გარემოსდაცვითი მონიტორინგის სპეციალისტი;

თამარ ქარდავა - ბენეფიციარებთან ურთიერთობის სპეციალისტი

თამაზ დულაშვილი-გარემოსდაცვითი მონიტორინგის სპეციალისტი.

შეხვედრა გახსნა ნინო ჯანგულაშვილმა და დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია ქვე-პროექტების მიზნებისა და პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ. მან საზოგადოებას წარუდგინა ქვე-პროექტებისათვის მომზადებული გარემოსდაცვითი მართვის გეგმა, აუხსნა საზოგადოებას მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული ქვე-პროექტების სოციალური და გარემოსდაცვითი სკრინინგის პროცედურები და სოციალური და გარემოსდაცვითი მოთხოვნები მოცემული პროექტისათვის, მიმოიხილა ქვე-პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები, ამ სამუშაოების განხორციელებისას მოსალოდნელი სოციალური და გარემოსდაცვითი ზეგავლენა არსებულ გარემოზე და ის ძირითადი ღონისძიებები, რომელთა გატარებაც აუცილებელია სავარაუდო უარყოფითი ეფექტების თავიდან ასაცილებლად ან მათ შესარბილებლად.

ნ. ჯანგულაშვილმა ისაუბრა იმ სახიფათო ნარჩენების შესახებ, რომელთა ვარდისუბნის ნაგავსაყრელიდან გატანის მიზნითაც დაიგეგმა ეს პროექტი. მიაწოდა ინფორმაცია აზბესტ-შემცველი მასალების გამოყენებისა და მათთან მუშაობის საფრთხეების, ასევე სახიფათო ნარჩენების მართვის ზოგადი პრინციპების შესახებ. მან ასევე ისაუბრა გარემოსდაცვითი მართვის გეგმის შინაარსსა და სტრუქტურაზე, მათ შორის, გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების აუცილებლობაზე. მან აღნიშნა, რომ გარემოსდაცვითი მართვის გეგმა არის მშენებელ კონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი და კონტრაქტორს ევალება ზედმიწევნით შეასრულოს გეგმით განსაზღვრული ღონისძიებები. მან ასევე ისაუბრა ქვე-პროექტის მიმდინარეობისას სამუშაოების გარემოსდაცვითი მონიტორინგის ძირითად პრინციპებზე, ანგარიშგების პროცედურებზე და მხარეებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გარემოსდაცვით ზედამხედველობაზე.

შეხვედრის დასასრულს ნ. ჯანგულაშვილმა შეხვედრის მონაწილეებს მიაწოდა ინფორმაცია საკონტაქტო პირების შესახებ, ვისაც შეუძლიათ დაუკავშირდნენ და მიაწოდონ ინფორმაცია გარემოს დაცვით და სოციალურ საკითხებთან დაკავშირებული რაიმე სახის უკმაყოფილების წარმოშობის შემთხვევაში.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ საზოგადოებას საშუალება მიეცა გამოეთქვა საკუთარი აზრი ან/და დაესვათ კითხვები წარდგენილ საკითხებთან დაკავშირებით, შეხვედრის მონაწილეების მიერ დასმული იქნა შემდეგი შეკითხვები:

შეკითხვები და შენიშვნები	პასუხები და კომენტარები
გამოიყენება თუ არა აზბესტის მიღები სასმელი წყლისთვის?	არა, არ გამოიყენება.
რატომ არის სახიფათო აზბესტის მიღების გამოყენება?	აზბესტი წარმოადგენს სახიფათო მასალას და მისი გამოყენება საშიშია ჯანმრთელობისათვის.

შეხვედრის დასასრულს ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებმა გამოხატეს დადებითი დამოკიდებულება პროექტის განხორციელების მიმართ და გამოთქვეს იმედი, რომ პროექტი დროულად დასრულდება და თელავის შესასვლელი დასუფთავება და კეთილმოწყობა.

შეხვედრის ფოტომასალა და შეხვედრაზე დამსწრეთა სარეგისტრაციო ფურცელის ასლი თანდართულია.

ოქმი მომზადებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის გარემოსდაცვითი სპეციალისტის ნინო ჯანგულაშვილის მიერ.

6 ოქტომბერი 2014

დამსწრეთა სია:

კახეთის რეგიონული განვითარების პროექტი/ Regional Development Project (RDP)- Kakheti

ქვეპროექტი: სოფ. ვარდისუბანში, თელავში შესასვლელი ობიექტის დასუფთავება და კეთილმოწყობა (თელავის მუნიციპალიტეტი)

Sub-Project: Site Cleanup and Reinstatement at Vardisubani, Entrance to Telavi (Telavi Municipality)

გარემოსდაცვითი მართვის გეგმის საჯარო განხილვა/ Public Hearing of EMP

06.10.2014 თელავის მუნიციპალიტეტის სოფ.ვარდისუბანი

06.10.2014 village Vardisubani of Telavi Municipality

დამსწრეთა სია/List of Attendance


#	გვარი, სახელი/ Name	ორგანიზაცია/ Organization	საკონტაქტო ინფორმაცია/ Contact information	ხელმოწერა Signature
1	2	3	4	5
1.	თევზაძე ქეთევან	სოფელი ვარდისუბანი	598-54-12-18	
2.	ჭაჭიაშვილი ნანი	სოფელი ვარდისუბანი	598-71-85-86	
3.	თოვასტყეილი ჭიკოტი	სოფ. ვარდისუბანი	599 36-35-79	
4.	ვახაშვილი ნატალი	სოფ. ვარდისუბანი ბ/ბ/სოფ.	599-12-22-92	
5.	ბერიძე ვიკტორია	სოფ. ვარდისუბანი	598 1849 54	
6.	ბერიძე დიმიტრი	სოფ. ვარდისუბანი	593-46-36-45	
7.	ბერიძე ნინო	სოფ. ვარდისუბანი	592-10-14-98	
8.	შენიჭიანი ივანე	სოფ. ვარდისუბანი	593-90-29-95	
9.	შ. ბოლომანიძე	სოფ. ვარდისუბანი	595-932-933	
10.	ბ. შალვაშვილი	სოფ. ვარდისუბანი	599 50-44-34	

WB/RDP

KAKHETI/Telavi



დასმობის სია/List of Attendance

#	პირი, სახელი/ Name	ორგანიზაცია/ Organization	კავშირის ინფორმაცია/ Contact information	ხელმოწერა/ Signature
1	2	3	4	5
11	ს. სურგულაძე	ს. სურგულაძე	599 10 19 14	

WB/RDP

KAKHETI/Telavi



ფოტოები:

